საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ცოცხლობს, მოქმედებს, მუშაობს!

გასულ შაბათს კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომში რაიონის ხუთი სოფლის სამოცზე მეტმა მოჭიდავემ გაითამაშა წარსულში ცნობილი ფალავნის შოთა კაციაშვილის პრიზი. ეს მშვენიერი სპორტული სანახაობა, რომელსაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო, ქართული ჭიდაობის ნამდვილ ზეიმად იქცა.

(მე-2-3 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 192 (6503)

7 1979 წ. ოქტომბერი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

დღეს შესრულდა სსრკ ახალი კონსტიტუციის — ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის მეორე წლისთავი. ორი წელიწადია, რაც ახალი კონსტიტუცია ძალაში შევიდა, მოქმედება დაიწყო, ცოცხლობს და მუშაობს...

ახალმა ძირითადმა კანონმა ახლებური შუქი მოჰფინა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას. კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს — შრომისა და სწავლის, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის, დიადი ქარტიით მონიჭებულ ყველა უფლებას ფართოდ იყენებს ხალხი. კონსტიტუციის სტრიქონები იმის თაობაზე, რომ სსრ კავშირის მოქალაქეთა დასვენების უფლებას უზრუნველყოფს... „გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება“... მთელი ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომი განვითარების ახალი მძლავრი ბერკეტი გახდა.

პირველ ყოვლისა, ეს შეეხება ახალი სპორტული ბაზების მშენებლობას. უკანასკნელ ორ წელიწადში ათობით დარბაზი, ჩოგბურთის კორტი, სპორტული კომპლექსი, აუზი აშენდა ჩვენს ქვეყანაში. მარტო ახალი ოლიმპიური ბაზები რად ღირს: განახლებული ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი, კრილატსკოეს არხი, არმიელთა სპორტკომპლექსი, დარბაზი „დრუჟბა“ — ეს ის ბაზებია, სადაც ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ასპარეზობანი, გაისად კი, მოსკოვის XXII ოლიმპიადაზე, სწორედ აქ გაირკვევა მრავალი გამარჯვებულისა და პრიზიორის ვინაობა...

სპორტული ბაზების ქსელმა თვალსაჩინოდ იმატა ჩვენს რესპუბლიკაშიც — სწორედ ამ უკანასკნელ წლებში ვიზეიმეთ თბილისში ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის, მძლეოსნობის 2 მშვენიერი მანეჟის, სოხუმის სტადიონის გახსნა.

ფიზკულტურა და სპორტი — ყოველდღიურ ცხოვრებაში! — ასეთია სადღეისო მოთხოვნა, ესაა ჩვენი ქალაქისა და სოფლის, საშუალო თუ უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა, სანარმო-დაწესებულებათა ახალგაზრდობის დევიზი.

და როგორც ერთ-ერთი მაგალითი ამისა, დღევანდელ ნომერში მკითხველი წაიკითხავს სტრიქონებს იმის თაობაზე, თუ როგორ ლაღად, შინაარსიანად ატარებენ თავისუფალ დროს — ნახერხმოყრილ საჭიდაოზე ასპარეზობენ კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის ფალავნები, როგორი გულდასმით, სიყვარულით ამზადებენ ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელად ნორჩებს თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში, როგორ არიან გატაცებული ფიზკულტურით თბილისის აბრეშუმის სანარმოო გაერთიანების ქალიშვილები, ჩვენი დედაქალაქის მოსწავლეები, რომელთა ჰარმონიულად აღზრდას ხელმძღვანელობენ გულისხმიერი პედაგოგები, მწვრთნელები.

კონსტიტუცია მოქმედებს, ცოცხლობს, მუშაობს... მოქმედებს ხალხის საკეთილდღეოდ, ცოცხლობს, მუშაობს ჩვენი ბედნიერი მომავლის, ჩვენი ნათელი ცხოვრების უზრუნველსაყოფად!

მასწავლებლის დღე

(მე-2-3 გვ.).

ქრონიკა

● ჭადრაკი

ლიდერთა პოზიციები გაირკვა

კვლავ წინაა ნ. იოსელიანი რიო-დე-ჟანეიროში მიმდინარე ქალთა საზონათშორისო ტურნირში, რომლის მორიგი სათამაშო დღე გადადებული პარტიების დამთავრებას დაეთმო. ლიდერს 7 ქულა აქვს ამდენივე შეხვედრის შემდეგ. მისი დაწევა შეეძლო ნ. ალექსანდრიას, მაგრამ იგი დამარცხდა გ. ბორისოვასთან (შვეცია). 8 ტურის შემდეგ ალექსანდრიას 6 ქულა აქვს, ისევე როგორც ზ. ვერეცის (უნგრეთი), რომელმაც სძლია ე. სოპეს (არგენტინა). 5-5 ქულა აქვთ ე. პოლიქრონიადეს (რუმინეთი) და მ. ლაზარევიჩს (იუგოსლავია). გ. ხუნდთან (გფრ) ყაიმის შემდეგ ვ. კოზლოვსკაიას 4,5 ქულა დაუგროვდა. ტ. ზატულოვსკაიამ, რომელსაც ჯერჯერობით 2,5 ქულა აქვს, ისევ გადადო პარტია ი. მაილსთან (ინგლისი)..

იქვე, რიო-დე-ჟანეიროში მიმდინარე ვაჟთა საზონათშორისო ტურნირის მონაწილენიც ამთავრებდნენ გადადებულ პარტიებს, რომლებიც 9 ტურის შემდეგ დაგროვდა. რ. ჰიუბნერმა (გფრ) მოუგო ს. კაგანს (ისრაელი) და 6,5 ქულა მოაგროვა. ტ. პეტროსიანს, რ. ვაჰანიანსა და ლ. პორტიშს (უნგრეთი) 5,5-5,5 ქულა აქვთ. ამ დღეს ვაჰანიანმა დაამარცხა ლ. ბრონშტეინი (არგენტინა), პორტიში ჯერ დაუზავდა გ. გარსიას (კუბა), მერე დამარცხდა 22 წლის ჟ. სუნიესთან (ბრაზილია). სუნიეს ჟ. ებერთან (კანადა) ყაიმის შემდეგ 5 ქულა დაუგროვდა შვიდ შეხვედრაში. ი. ბალაშოვს 4,5 ქულა აქვს 7-დან. იგი, როგორც სუნიე, ორ ტურში თამაშიდან თავისუფალი იყო.

ფეხბურთი ●

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი, 27-ე ტურის კალენდარული მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

ყურადღების ცენტრში იყო ლიდერთა შეხვედრები: თბილისის დინამოელები დონეცკში შეხვდნენ ადგილობრივ „შახტიორს“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3. მოსკოვის „სპარტაკმა“ შინ დაამარცხა ლენინგრადის „ზენიტი“ — 3:1. ოდესის „ჩერნომორეცისა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრაში იმარჯვეს მასპინძლებმა — ოდესელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ორი უპასუხო ბურთი გაიტანეს კიეველთა კარში — 2:0.

თბილისის 77-ე საშუალო სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას.
სურათზე: საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი გ. ღლონტი ბირთვის კვრაში ამეცადინებს აღსაზრდელებს.

კ. სალუქვაძის ფოტო.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ცოცხლ მოქმედებს, მუშაობს!

მუხლი 41. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისათვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა; ყოველწლიური ფასიანი შვებულებების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელსაყრელი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა.



ერთგული თანაშემწე

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში. აქ სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება საწარმოო დავალებები. შარშან მეაბრეშუმეებმა ასობით ათასი მანეთის ზეგეგმითი ქსოვილი მისცეს სამშობლოს. ფაბრიკის მშრომელები წლეულსაც მუყაითობენ...

ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით სპორტსმენ კოლეგებს, რომლებიც სამუშაოდან თავისუფალ დროს სპორტულ სექციებსა და წრეებში მეცადინეობენ.

მეაბრეშუმე-სპორტსმენები ხშირად აწყობენ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს, ტურისტულ გასვლებს ბაზალეთის ტბაზე, კოჯორში. სპორტსაზოგადოება „განთიადის" რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე მათ საპრიზო ადგილებიც დაისაკუთრეს.

— მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებაში დიდად გვეხმარება ფიზკულტურა და სპორტი, — გვეუბნება შრომის ორგანიზაციის ინჟინერი ბელა დევდარიანი. — უყვართ ჩვენებს სპორტი, ამიტომაც საწარმოო ტანვარჯიშში 1800 ქალი სისტემატურად ვარჯიშობს...

საუბარში საწარმოო გაერთიანების დირექტორის მოადგილე მაყვალა ქოქრაშვილი ჩაერთო.

— სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ ფართოდ მოგვანიჭა დასვენების, სპორტში მეცადინეობის უფლება. ჩვენც კარგად ვიყენებთ ამ უფლებას — აქტიურად ვისვენებთ, ფიზიკურად ვიწრთობით, რაც შრომის ნაყოფიერებაზე დადებითად მოქმედებს. ახალი კონსტიტუციის მიღების მე-2 წლისთავის აღსანიშნავად საწარმოს 20-მა მეაბრეშუმემ — ნ. გოგუაძემ, ლ. კობელმა, დ. კენჭელიამ, ზ. შირობოკოვამ, ნ. ოქრუაშვილმა და სხვებმა გადაჭარბებით შეასრულეს X ხუთწლედის დავალება.

— კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა შრომისა და ომის ვეტერანებთან, — გვითხრა წარმოების კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ე. მაგიაშვილმა, — მოწინავე მქსოველმა — საქსოვე საამქროს მე-8 ბრიგადის ხელმძღვანელმა ლ. აბალაძემ მათ უპატაკა 1979 წლის დავალებათა განაღდება, სპორტის მეთოდისტმა ნ. ბოჭორიშვილმა კი — თანრიგოსნებისა და მშთ ნიშნოსნების მომზადების გეგმის შესრულება...

რ. შანშიაშვილი.

ქართული ჭიდაობის ზეიმი კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომში

მაგრადა დგას ბერმუხა...

ბინდში დაინთქა წითელკრამიტიანი სახლები, შემოდგომის ოქროგარეული ბაღები და ვენახები. ეზოებში მინდვრიდან მობრუნებული საქონელი აზმუვლდა, ელექტრონის შუქით განათებული საჭიდაოს გარშემო შემოხვეული ხალხი კი დაშლას არ აპირებს. წონჭოლებენ შეფიქრიანებული ქვემოგომელები: ცნობილი ფალავნის, მათივე თანასოფლელის შოთა კაციაშვილის თასის ბედი სასწორზეა შეგდებული. ძალს ისინი არიან და ძალს — ყარალაჯელები. შეჯიბრებაში მონაწილე ხუთი გუნდიდან სწორედ ამ ორი სოფლის მოჭიდავეები გასულან ფინალში და ახლა იმათ უნდა გადაწყვიტონ, სასწორის რომელი პინა გადაიხრება. ერთი კი არის, ყარალაჯელებს უკვე მოუთავებიათ საქმის ნახევარი: შეჯიბრების დებულებით ყველა სოფელმა ორ-ორი, ჭაბუკთა და მოზრდილთა გუნდი გამოიყვანა სასპარეზოდ, იმათმა ჭაბუკებმა კი 5,5:3,5-ზე დაამარცხეს მასპინძელი თანატოლები და თანაც ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვეს. ახლა მოზრდილებზეა საქმე. სწორედ ამ ამბავს შეუფიქრიანებია ქვემო გომელები. თასი რომ დაიტოვონ, მასპინძლებმა რვიდან ექვსი შეხვედრა მაინც უნდა მოიგონ, სხვანაირად არა გამოვა რა.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვალერიან იაშვილი მეტოქე გუნდებს ასპარეზზე იწვევს და ირგვლივ ისეთი სიჩუმე ჩამოწვება, უდროო დრო რომ არ იყოს, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდა კაცი. მაგარი ბიჭები ჩანან ყარალაჯელები, ეტყობა ადვილად არავის დაეჩაგვრინებიან, მაგრამ თავიანთი ფალავნების შემხედვარენი, იმედს არა ჰკარგავენ ქვემო გომელები.

ყინჩად დგანან ბიჭები და ერთმანეთს თვალით ზომავენ.

საცაა შეჯიბრებაც დაიწყება...

ალბათ გაჭირდება საქვეყნოდ აღიარებული ისეთი ქართველი ფალავნის დასახელება, სოფლის საჭიდაოზე რომ არ აედგას ფეხი. სოფელი ზრდიდა მეკოკიშვილებსა და ცალქალამანიძეებს, ჩოჩიშვილებს, თედიაშვილებს, მაღალაშვილებს და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენს...

სოფლის თვალს არაფერი გამოეპარებოდა: თითის სიგრძე ბალღებში გამოარჩევდა მომავალ ჩემპიონს, მოუვლიდა, უპატრონებდა, აწვრთნიდა. ის იყო დამწყები მოჭიდავის პირველი მწვრთნელიც და ქომაგიც. ამიტომ გასაგები და ლოგიკურია ქართველ ფალავანთა ის წარმატებები, არაერთხელ რომ მოუპოვებიათ მსოფლიოს ასპარეზზე. ამ წარმატებათა ფესვები ქართული ჭიდაობის სიღრმეებშია დამარხული და ჩვენი ფალავნების ბოლო დროინდელი უხეირო გამოსვლები ნაწილობრივ იქნებ ძველი ტრადიციების მივიწყების ბრალიცაა. ამიტომ ძალზე სასიხარულოა, რომ უკანასკნელ ხანს თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში დაბერა სასიკეთო სიომ და ქართული ჭიდაობის მინავლულ ნაღვერდალს დავიწყების ფერფლი გადააცალა.

კასპის რაიონში არც არასდროს გამქრალა მამაპაპური კოცონი. წელს კასპელებმა რამდენიმე შეჯიბრება გამართეს, სადაც მრავალი ახალგაზრდა, პერსპექტიული ფალავანი გამოვლინდა. რაიონის სპორტკომიტეტისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს ინიციატივით სხვადასხვა სოფლებში მოეწყო ასპარეზობანი, რომლებიც წარსულში ცნობილი ფალავნების ნიკოლოზ (პოხრო) პაპიაშვილის, ლადო გოგიბედაშვილის, შოთა მაზმიშვილის ხსოვნას მიეძღვნა. გაიმართა რაიონის პირველობები სიჭაბუკის და შინმოუსვლელთა თასებზე. კასპში მუშაობს ჭიდაობის ბავშვთა სპეციალიზებული სკოლა, რომელსაც შესანიშნავი მწვრთნელი, ქართული ჭიდაობის დაუღალავი პოპულარიზატორი და წარსულში სახელგანთქმული ფალავანი ლავრენტი კაციაშვილი ხელმძღვანელობს. კასპელი ბავშვებისათვის შენდება და საცაა დამთავრდება კიდეც ახალი საჭიდაო დარბაზი. ეს ყველაფერი კი ცხადია, მარტო შიშველი ენთუზიაზმით არ კეთდება. რაიონის სპორტსმენებს დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, რაისაბჭოს აღმასკომი და ისეთი წარმოება-დაწესებულებანი, როგორიცაა კასპის სარემონტო კანტორა, საგზაო უბანი, რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება, რაიმილიცია და სხვები.

გასულ შაბათს ქვემო გომში გაიმართა წარსულში ცნობილი ფალავნის შოთა კაციაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ასპარეზობა, რომელმაც უამრავი მაყურებელი მიიზიდა. შეჯიბრებაში კასპის რაიონის ხუთი სოფლის სამოცზე მეტმა მოჭიდავემ იასპარეზა, მონაწილეთა ასეთი სოლიდური რიცხვი კი იმან განაპირობა, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, თითოეულმა სოფელმა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ორი, მოზრდილთა და 1963-64 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდი გამოიყვანა, რამაც მეტი სიმძაფრე შესძინა ასპარეზობას. დებულებით სოფლის წარმატება ორივე გუნდის მიერ მიღებული საჯარიმო ქულების ჯამით ფასდებოდა (ჭიდაობის ხანგრძლივობა ჭაბუკთათვის სამ წუთს, მოზრდილთათვის კი ოთხ წუთს შეადგენდა).

პირველად ლამისყანელი და დოესელი ფალავნები შეხვდნენ ერთმანეთს. დოესელთა ორივე გუნდმა შეჯიბრება კარგად ჩაატარა და საერთო ანგარიშით — 14:3-ზე სძლია ლამისყანელებს. ჭაბუკთა ასპარეზობაში გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინეს ბეგლარაშვილმა და საქართველოს ჩემპიონმა ქართულ ჭიდაობაში დათუაშვილმა, ხოლო ლამისყანელთაგან კობა მაჩხიძემ, რომელმაც ლამაზი, რაინდული ჭიდაობით მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მომდევნო წრეში ერთმანეთს მეტეხელი და ყარალაჯელი ფალავნები შეხვდნენ. ყარალაჯელებმა ადვილად სძლიეს მოწინააღმდეგეებს და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. მეტეხელთაგან თავი გამოიჩინეს ხვიჩა ბოკველმა და აჩიკო აზმაიფარაშვილმა. ამ უკანასკნელმა თხუთმეტ წამში წმინდა გამარჯვებას მიაღწია ა. დემეტრაშვილთან შეხვედრაში.

ქვემოგომელებმა საკმაოდ კარგად ჩაატარეს ნახევარფინალური ბრძოლა დოესელებთან და ახლა ფინალურ ასპარეზობაში უნდა გარკვეულიყო ვინ იქნებოდა პირველი — ყარალაჯი თუ ქვემო გომი...

და აი, ფინალური შეჯიბრებაც დაიწყო. ნახევრწყვდიადმოცულ საჭიდაოზე ჯერ ჭაბუკთა გუნდები გამოიყვანეს. საინტერესო გამოდგა პირველივე შეხვედრა მ. მამულაშვილსა (ყარალაჯი) და შ. თაბორიძეს (ქვ. გომი) შორის. შესანიშნავად იჭიდავა მიშიკო მამულაშვილმა და წმინდა გამარჯვებასაც მიაღწია, მაგრამ 48 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზეთა შეხვედრამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამ წონაში ყარალაჯელებმა გამოიყვანეს ჯ. პაპინაშვილი (საქართველოს ყოფილი ჩემპიონის ამირან პაპინაშვილის ვაჟი), რომელმაც პირდაპირ განაცვიფრა ქართული ჭიდაობის ტრფიალნი. ამ ცეროდენა ბიჭმა შესანიშნავი ოსტატობით, ქართული ჭიდაობის ილეთების ბრწყინვალე ცოდნით, მრავალისმნახველი მაყურებელიც კი მოხიბლა.

საბოლოოდ ჭაბუკთა შეხვედრა ყარალაჯელთა გამარჯვებით დამთავრდა (5,5:3,5), რამაც ქვემოგომელები საკმაოდ რთული პრობლემის წინაშე დააყენა.

შებინდდა. მერე დაღამდა, მაგრამ საჭიდაოზე შეკრული ხალხი დაშლას არ აპირებს. ყინჩად დგანან ბიჭები და ერთმანეთს თვალით ზომავენ. მთავარი მსაჯი მონაწილეთა გვარებს აცხადებს. ქვემოგომელებს სულ ცოტა 6 გამარჯვება სჭირდებათ, მაგრამ მაგარი ბიჭები ჩანან ყარალაჯელები — თავს ეგრე ადვილად არ დააჩაგვრინებენ. და მართლაც, პირველივე შერკინება ყარალაჯელი **დემეტრაშვილის** მოულოდნელი ილეთითა და წმინდა გამარჯვებით თავდება.

ახლა ყოველი შეხვედრა გადამწყვეტია, ქვემოგომელები ბეწვის ხიდზე დგანან.

60 კგ. **ქერიეშვილი** (ყარალაჯი) — **კაციაშვილი** (ქვ. გომი). ქერიეშვილი გამოცდილი მოჭიდავეა — დინჯი, თავდაჭერილი, მაგრამ არც შოთა კაციაშვილია ახალბედა და სახეზე ეტყობა, თავისი ბიძისა და სეხნის სახელობის თასს იოლად არავის დაუთმობს... დაიწყო ჭიდაობა და კაციაშვილის უპირატესობაც მაშინვე გამოიკვეთა. შოთამ ნაცადი შეაკაურით ზედიზედ რამდენიმე მომგებიანი ქულა აართვა მეტოქეს და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც.

ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

64 კგ. **მაზმიშვილი** (ყარალაჯი) — **როსებაშვილი** (ქვ. გომი). ამ შერკინებაშიც ქვემოგომელმა ფალავანმა იმარჯვა. მაზმიშვილი პასიურობდა, რისთვისაც მსაჯებისაგან ორი გაფრთხილება მიიღო და შეჯიბრებიდან მოიხსნა.

ახლა ქვემოგომელები დაწინაურდნენ — 2:1.

68 კგ. **პაპინაშვილი** (ყარალაჯი) — **ბერიაშვილი** (ქვ. გომი). ის იყო ერთმა [illegible] ჩამოართვეს, [illegible] ელვისებური [illegible] ბეჭებზე დასცა.

ანგარიში [illegible] 3:1.

73 კგ. **დემეტრაშვილი** (ყარალაჯი) — **ხი[illegible]** (ქვ. გომი). შესანიშნავად [illegible] დემეტრაშვილმა [illegible] დაჯაბნა [illegible] უპირატესობით [illegible] ერთგვარი [illegible] შეჯიბრების [illegible]

79 კგ. **ნაგეურაშვილი** (ყარალაჯი) — **მამულაშვილი** (ქვ. გომი). ნ. მამულაშვილი ქვემოგომელთა ფიზკულტურელთა ლიდერი და გუნდის კაპიტანია. ცხადია მას მეტად მოეთხოვება თავისი გუნდისათვის და ნუგზარისთვის პირნათლად [illegible] ჩაატარა [illegible] და მეტოქეს [illegible] მისცა.

ანგარიში გამოუგომელთა სასარგებლოდ ჯერ თურმე ნინ იყო...

87 კგ. **დემეტრაშვილი** (ყარალაჯი) — **აბაშიძე** (ქვ. გომი). იაგო დემეტრაშვილი გამოცდილი ფალავანი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში და, ცხადია, ყარალაჯელთა მწვრთნელს მისი დიდი იმედი ჰქონდა. გაუმართლდა მოლოდინი, თავი — ნუთნახევარში არჯვება მოიპოვა. რაც გადაწყვიტა კიდევ სა და შესაბამისად ბედი. ისე რომ, ფალავნების შეხვედრაც ქვემოგომელის გამარჯვებით არაფერი შეცვალა.

შეჯიბრება დამთავრდა. მაგრამ სოფელში მუდამ ზეიმია და ის დღეც ზეიმი იყო ქვემოგომელებისათვის, შოთა კაციაშვილის თასი ნაილეს (ერთი ჯარი) თვალი როგორ იაგო დემეტრაშვილის შესანიშნავი ლარნაკი როგორ მიართვა ერთობ განწყობილებისა და ოდენი ნალვერდალი, იმ ამბავს ზედმიწევნით, იმ დღეს კიდევ ერთხელ მუნა ყველამ, ერთმანეთს ქართული ჭიდაობა ჯერაც მაგრად და მძლავრად ისევ ნუცხლებელ ნუ გვინია რომ ჰქვია.

ნუგზ.
(ჩვენ



ამ ფოტოსურათზე ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ა. კობაძემ, კასპის ქვემო გომში შეჯიბრების მონაწილე დილით: (ზემოთ) [illegible] დაობის არაერთი [illegible] უჩვენებს [illegible] მაყურებელს (ქვემოთ) მაყურებლები არ რჩებიან [illegible] ვიანთ ფალავნებს მომენტი; [illegible]

ნორჩებზე ფიქრით დამაშვრალი

დედაენის ხელში აღების დღიდან, შვილის აღზრდასა და სიყვარულში მშობლებს მოზიარე უჩნდებათ — მასწავლებელი!

ძნელია თითოეული ბავშვის გულში ჩახედვა, მისი ფიქრის და ოცნების გაგება, მაგრამ თუ მასწავლებელმა ბავშვის სულის გასაღები ვერ იპოვა, ფუჭად ჩაივლის შრომა.

...თხუთმეტი წელია **ბორის კიტიაშვილი** ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობს. რამდენი ფიქრი და სიხარული, რამდენი შრომა და ენერგია წაიღო წლებმა...

— როდესაც საუბარია მასწავლებელზე, — ამბობს ბორისი, — მაშინვე საყვარელი პედაგოგები მაგონდებიან და დღეს მეტი კრძალვითა და რიდით ვხედავ მათ, რადგან ახლა უკეთესად მესმის მათი შრომის ფასი...

ბორის კიტიაშვილი თბილისის 64-ე საშუალო სკოლაში სწავლობდა. იგი სიყვარულით იხსენებს თავის საყვარელ მასწავლებელს დიმიტრი მახარაშვილს: — „ყოველთვის მიზიდავდა ამ ადამიანში ის დიდი სიკეთე, ენერგია, შრომის სიყვარული, ასე უხვად რომ ჰქონდა მომადლებული. მან უთქმელად იცოდა ჩვენი ფიქრი, ცდილობდა შეეყვარებინა ჩვენთვის სპორტი. ათასგვარ რამეს მოიგონებდა, რომ მარტო სიტყვებით არ დაესაბუთებინა სპორტის აუცილებლობა".

ბორის კიტიაშვილი სკოლაში სწავლის პერიოდში ახალგაზრდა ფეხბურთელთა სპორტსკოლაში ვარჯიშობდა, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრიც იყო. შემდეგ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. 1964 წელს კი დაამთავრა ეს უმაღლესი სასწავლებელი და თბილისის 62-ე სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

„არასოდეს დამავიწყდება პირველი გაკვეთილი. მეგონა, რომ ყველაფერს სურვილისამებრ წარვმართავდი, მაგრამ შევცდი. ბავშვები ოდნავ შეცდომასაც არ გაპატიებენ. შემდეგ და შემდეგ ყველაფერი თავისი რიგით წარიმართა, მაგრამ ვიდრე ამას მივაღწევდი, ბევრი რამ დამჭირდა"...

თანდათან მოვიდა გამოცდილება. შრომამ, მონდომებამ თავისი გაიტანა — ბორის კიტიაშვილი მოწინავე მასწავლებელი გახდა.

— ერთ საინტერესო ეპიზოდს მოგიყვებით, — ამბობს ბორისი, — მეექვსეკლასელებთან მქონდა გაკვეთილი, სიმაღლეზე ხტომის ტექნიკას ვასწავლიდი. კლასში ერთი ტანმორჩილი ბიჭუნა იყო, სხვებთან შედარებით ცუდად ხტებოდა. როგორც კი მასზე მიდგებოდა ჯერი, მთელი კლასი ხარხარებდა, ბიჭუნა კი უხერხულობისგან წითლდებოდა... გაკვეთილის შემდეგ მთელი კლასი დავიბარე და კვლავ გავაგრძელებინე ვარჯიში სიმაღლეზე ხტომაში; თან ვთხოვე დახმარებოდნენ იმ უმაწვილს. ერთი გენახათ, როგორ ამოუდგნენ მხარში, როგორ უხსნიდნენ ასე და ასე გადახტი.

ბორის კიტიაშვილი სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შესახებ პირად მოსაზრებებსა და შეხედულებებს ჟურნალ-გაზეთების საშუალებით თავის კოლეგებსაც უზიარებს. მან რამდენიმე საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა ჩვენს პრესაში, მათ შორის საკავშირო ჟურნალში „ფიზკულტურა ვ შკოლე".

— ვცდილობ, წინა გაკვეთილი არ ჰგავდეს მომდევნოს... როცა გაკვეთილები ერთნაირია, ეს მოსაბეზრებელია, ბავშვებს არ უყვართ ერთფეროვნება. ინტერესი ეკარგებათ.

როცა ვემშვიდობებოდი ბორის კიტიაშვილს სიტყვები ამეკვიატა: „გამოხედვა თბილი, დათრთვილული თმები, დინჯი ნაბიჯები..."

როგორ შეეფერებოდა მას ეს სიტყვები...

ნანა მუჯაბანიანი.

რაზე მეტყველებენ თასები

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის სახელობის თბილისის 77-ე საშუალო სკოლას უკვე 40 წელია უნაკლოდ ხელმძღვანელობს დირექტორი გ. კობახიძე. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის დირექტორს ახლახან საბჭოთა კავშირის სახალხო მასწავლებლის წოდება მიენიჭა...

მრავალ მიღწევათა შორის სკოლის მნიშვნელოვანი წარმატებები აქვს მოპოვებული ფიზკულტურასა და სპორტშიაც. ამ სფეროში აგერ უკვე 31 წელია მოღვაწეობს საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, სამამულო ომის მონაწილე, პერსონალური პენსიონერი **გ. ღლონტი.** მას მკერდს „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი უმშვენებს და ამით ბევრი რამაა თქმული.

სკოლამ საკუთარი ძალებით მოაწყო კალათბურთის სამი, ფრენბურთისა და ხელბურთის ორ-ორი მოედანი, მინი-ფეხბურთელთა სარბიელი. აქვთ ტანმოვარჯიშეთა, მძლეოსანთა და ძალოსანთა ბაზები. რაც შეეხება სპორტდარბაზს, იგი თანამედროვე სპორტული დანადგარებითაა უზრუნველყოფილი. ერთი სიტყვით, აქ ყველა პირობაა შექმნილი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლისთვის.

მოზარდთა გაჯანსაღების საქმეში გ. ღლონტს მხარში უდგანან ფიზკულტურის მასწავლებლები: ა. ავიკოვი და ს. აკოფოვი. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ სკოლაში მაღალ დონეზე ტარდება კლასგარეშე სპორტული მუშაობა. ჩამოყალიბებულია მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკის და შაშის სექციები. სპორტულ საქმიანობაში 415 მოსწავლეა ჩაბმული. ამას გარდა, ბევრი მოსწავლე რაიონისა და ქალაქის სპორტსკოლებში ვარჯიშობს. შარშან 211 მოსწავლემ სხვადასხვა სპორტული თანრიგი შეასრულა. მათ შორის ორი მოსწავლე სპორტის ოსტატობის კანდიდატი გახდა. ესენი არიან მოჭიდავე გ. მაღლაშვილი და ველომრბოლელი რ. ბინიაშვილი. საერთოდ, სკოლაში დიდი გადაჭარბებით სრულდება მშთ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები.

ფიზკულტურასა და სპორტში კარგ მუშაობაზე მეტყველებს მოსწავლეთა მიერ მოპოვებული თასები, ვიმპელები და სიგელები. სკოლა საკავშირო სპორტკომიტეტის სიგელით და დიპლომითაა დაჯილდოებული. მოსწავლეთა სპორტული მიღწევების გაცნობა შეიძლება გემოვნებით გაფორმებულ სპორტულ კედლის გაზეთში, ფოტოსტენდზე...

აქ ხშირად ეწყობა შეხვედრები გამოჩენილ სპორტსმენებთან. მაგალითად, სკოლის სტუმრები იყვნენ ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები: ვ. ბალავაძე, გ. კარტოზია, დ. იოსელიანი, ე. გოკიელი, გ. ბაბილოძე... სპორტულ თემაზე ლექციების წასაკითხად მოწვეული იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი ა. ციბაძე.

საერთოდ, ამ სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებს გამოცდილების გაზიარების მიზნით ახლო ურთიერთკავშირი აქვთ ფიზკულტურის ინსტიტუტის თეორიისა და ორგანიზაციის კათედრასთან. ეს ურთიერთობა დიდ დახმარებას უწევს პედაგოგებს ახალი მეთოდების დანერგვაში.

ა. სალუქვაძე.

• • •

სურათებზე: ვინ გადაძალავს?; დიდი დასვენება.

ა. სალუქვაძის ფოტოები.

I ლიგა

ისევ — 1 : 0

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 5 ოქტომბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „პამირი" (დუშანბე) 1:0 (0:0).

„ტორპედო": მჭედლიძე, შენგელია, ოქროპირაშვილი, [illegible], მელიქია, ზ. ხვანიძე, ფარულავა, ებანოიძე, ბურჯაძე, [illegible], გაბიჩვაძე ([illegible]).

„პამირი": ხაჩატუროვი, მურადოვი, ჩერევჩენკო, კირილენკო, ჩერეპნიკი, აზაპოვი, ტარხანოვი, ხაბრიევი, იულდაშევი (რაიმჯანოვი), როდიონოვი, პელიაღოვი (ტურსუნოვი).

მსაჯი ნ. გლებოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0.

მასპინძლებმა თავიდანვე ძლიერი შეტევები განავითარეს სტუმართა კართან, პირველ ნახევარში მათ სულ მცირე, რამდენიმე გოლი მაინც უნდა გაეტანათ, მაგრამ ფარულავა, გაბიჩვაძე, ბურჯაძე, ებანოიძე ერთობ უზუსტოდ ურტყამდნენ. მთელი ტაიმის მანძილზე ქუთაისელთა შეტევები არ შეწყვეტილა.

შესვენების შემდეგ ტორპედოელები კვლავ უტევდნენ. სტუმრებმა მხოლოდ ორიოდე კონტრშეტევა თუ განახორციელეს, თუმცა ერთ-ერთი მათგანი კინაღამ ქუთაისელთა კარის აღებით დამთავრდა. 57-ე წუთზე საჩხიტემ ბურთი გადაუგორა ჩერევჩენკოს, გორგოძემ დაასწრო მცველს და თავის მხრივ გადააწოდა ებანოიძეს. ამ უკანასკნელმა დაარტყა კარში და მეკარის მოუტევებელი შეცდომის გამო ბურთი ბადეში აღმოჩნდა — 1:0.

დუშანბელებმა გატანილ გოლს შეტევით უპასუხეს და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მასპინძელთა კართან. მჭედლიძის კარგი თამაში რომ არა, ბურთი უთუოდ აღმოჩნდებოდა მასპინძელთა კარში. აღსანიშნავია შენგელიას უდისციპლინო საქციელი, რომელიც გამუდმებით დავობდა, ხან მსაჯთან და ხან მეტოქეებთან.

ა. ხარიძე.

სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „მეტალისტი" (ხარკოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 4:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 1:0, „თერგი" (გროზნი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 1:2, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კუბანი" (კრასნოდარი) 0:0, „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „ალგა" (ფრუნზე) 2:1, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — სკა (ოდესა) 4:1, „კარპატი" (ლვოვი) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 2:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „კუზბასი" (კემეროვო) 2:0, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „ტრაქტორი" (პავლოდარი) 1:0, „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:1, „დინამო" (ლენინგრადი) — „ზვეზდა" (პერმი) 1:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ოქტომბრისთვის

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კარპატი"	22	10	5	69—30	54
„შინიკი"	19	12	7	42—24	50
„კუბანი"	18	10	10	58—36	46
„ფაკელი"	18	8	11	57—42	44
„პამირი"	19	5	14	46—43	43
„ურალმაში"	16	9	13	48—35	41
„ჟალგირისი"	15	10	12	47—40	40
„ნისტრუ"	14	12	12	42—40	40
„ტორპედო"	14	12	12	37—36	40
„კუზბასი"	15	9	14	42—40	39
„დნეპრი"	14	11	13	49—50	39
„მეტალის."	15	8	15	33—37	38
„სპარ." ორ.	16	5	17	42—36	37
„მეტალურ."	15	7	16	61—58	37
„სპარტ." ნლ.	14	9	15	40—38	37
სკა ოდ.	13	9	16	45—53	35
„სპარ." ი.-ფ.	14	6	17	39—51	34
„ტავრია"	13	8	17	43—51	34
„თერგი"	13	7	18	42—50	33
„ზვეზდა"	12	9	17	35—45	33
„ტრაქტორი"	10	11	17	25—43	31
„დინ." ლ.	12	6	20	44—46	30
„კოლხოზჩი"	9	10	19	35—67	28
„ალგა"	9	7	22	29—57	25

● ფეხბურთი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

I ჯგუფი

„ალაზანი" (გურჯაანი) — „იმერეთი" (წულუკიძე) 2:2. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს ოდიშარიამ და მურვანიძემ, ხოლო სტუმართაგან ორივე გოლის ავტორია აბდუაძე.

„ავიატორი" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 3:2. მსაჯი რ. ფანჩულაშვილი (თბილისი).

ახალგაზრდა თბილისელმა ფეხბურთელებმა ამჯერადაც წარმატებით ითამაშეს. ზესტაფონელთა კარში ბურთები გაიტანეს ვაშაკიძემ, კვესელავამ და შოთაძემ, სტუმართაგან თავი გამოიჩინეს კიკნაველიძემ და გლონიანოვმა.

„ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — „სიონი" (ბოლნისი) 2:1. მსაჯი რ. გარნოვსკი (სამტრედია).

სკა (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:0. მსაჯი ვ. გვანცელაძე (თბილისი).

არმიელ ფეხბურთელებს უპირატესობა ჰქონდათ მატჩის მსვლელობაში, ბურთი გაიტანა გოგუამ.

„კოლხეთი" (ხობი) — „სქური" (წალენჯიხა) 3:2. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

მატჩის პირველ ნახევარში მასპინძლებმა 3 უპასუხო გოლი გაიტანეს „სქურის" კარში (ქომეთიანი, გუგუნავა, ექონია). შესვენების შემდეგ სტუმრებმა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა, მაგრამ მხოლოდ ორჯერ მიაღწიეს წარმატებას (ქვარაია, ღრანი).

„ეგრისი" (ცხაკაია) — „მზიური" (გალი) 1:2. მსაჯი ა. ბაბახიანი (თბილისი).

ანგარიში ცხაკაიელმა ჩიქობავამ გახსნა, მაგრამ „მზიურმა" კარგად ითამაშა მეორე ნახევარში და ოსტროვსკისა და გუგუნავას მიერ გატანილი ბურთების წყალობით გაიმარჯვა კიდეც.

„მერცხალი" (მახარაძე) — „ივერია" (ხაშური) 2:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

„სქური" (წალენჯიხა) — სკა (თბილისი) 2:0. მსაჯი ნ. წურწუმია (ფოთი).

ბურთები გაიტანეს კვარაცხელიამ და სიჟამავამ.

„მეშახტე" (ტყიბული) — „ეგრისი" (ცხაკაია) 3:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

სტუმრების კარში 2 ბურთი გაიტანა ძებისაშვილმა და ერთი — არსენიძემ (პენალტი).

საქართველოს პირველობა

„მეტალურგი" (რუსთავი) — „სიონი" (ბოლნისი) 3:1. მსაჯი რ. ფანჩულაშვილი (თბილისი).

„ენერგეტიკოსი" (თერჯოლა) — „მერცხალი" (მახარაძე) 3:1. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).

„ალაზანი" (გურჯაანი) — „ივერია" (ხაშური) 5:1. მსაჯი ა. ბაბახიანი (თბილისი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტ." რ.	32	20	7	5	59—35	47
„მეშახტე"	30	21	3	6	41—19	45
„მზიური"	29	19	4	6	47—27	42
„მერცხ."	30	13	9	8	54—38	35
სქური"	32	13	8	11	49—45	34
„კახეთი"	30	12	8	10	37—40	32
„ავიატ."	31	12	7	12	44—45	31
„მეტ." ზ.	32	10	11	11	42—44	31
„ალაზანი"	31	10	11	10	40—49	31
„ეგრისი"	32	12	7	13	43—62	31
„ენერ."	32	12	6	14	38—50	30
სკა თბ.	32	10	9	13	38—32	29
„ამირანი"	29	8	13	8	37—38	29
„იმერეთი"	32	11	7	14	43—53	29
„მაღარ."	27	10	7	10	41—34	27
ფიზ." ინსტ.	31	10	7	14	33—41	27
„კოლხ."	30	9	9	12	25—32	27
„ივერია"	30	10	6	14	42—43	26
„სიონი"	31	7	12	12	37—44	26
„სპარტ."	27	9	3	15	33—48	21

საჯარიმო დარტყმა

მიმდინარე სეზონში მეორე გაფრთხილება მიიღეს მ. გვაზავამ („ავტომობილისტი", აბაშა) და ვ. ქოჩიევმა („სპარტაკი", ცხინვალი).

გაფრთხილებული არიან დ. ხეცურიანი („დინამო", ქუთაისი), ზ. ჩიტაური („მესხეთი", ახალციხე), ნ. ბიხაშვილი (სკა, თბილისი), გ. ზარიძე („სიონი", ბოლნისი).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 7 ოქტომბერი. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. „ავიატორი" (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული). დასაწყისი 16 ს. 30 წ. ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „დინამო" (თბილისი) — „განათლება" (თბილისი). 16 ს.

ნისლიანი ალბიონიდან — ელბის ნაპირებზე

გაიცანით თბილისის „დინამოს“ მეტოქე — „ჰამბურგი“ (გფრ)

დასავლეთ გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი და პორტი ჰამბურგი (მისი მოსახლეობა 2 მილიონს აღწევს) დაარსდა IX საუკუნეში კარლოს დიდის მიერ. იგი მდებარეობს მდინარე ელბის ნაპირებზე და შეერთებულია 110-კილომეტრიანი არხით ჩრდილოეთის ზღვასთან.

ფეხბურთი ჰამბურგში ინგლისელმა მეზღვაურებმა შემოიტანეს. 1887 წელს ქალაქის სპორტულ კავშირში შეიქმნა ფეხბურთის კლუბი, ერთი წლის შემდეგ კი ჰამბურგელებმა მიიღეს მონაწილეობა გერმანიის ჩემპიონატში. 20-30-იან წლებში „ჰამბურგი“ გავიდა გერმანიის ფეხბურთის ავანსცენაზე, 1922, 1923 და 1928 წლებში მოიპოვა ჩემპიონობა, ხოლო 1924 წელს ვერცხლის პრიზიორი გახდა. ამ წარმატებებს ხანგრძლივი კრიზისი მოჰყვა და გუნდმა მხოლოდ 50-იან წლებში კვლავ „აიდგა ფეხი“. 1954 წლიდან „ჰამბურგში“ თამაში დაიწყო გამოჩენილმა ფეხბურთელმა უვე ზეელერმა, ხოლო მოგვიანებით — უძლიერესმა მცველმა ვილი შულცმა. 1957 წელს გუნდი გავიდა პირველობის ფინალში, სადაც დამარცხდა დორტმუნდის „ბორუსიასთან“ — 1:4. მომდევნო წელს „ჰამბურგმა“ ისევ განვლო პირველობის ყველა სტადია, გაიმარჯვა თავის ჯგუფში და კვლავ წააგო ფინალი, ამჯერად გელზენკირჰენის „შალკე 04“-თან — 0:3.

1960 წელს დასავლეთ გერმანიის პირველობის ფინალში „ჰამბურგმა“ გამარჯვება მოიპოვა. მან დაამარცხა „კიოლნი“ — 3:2, უ. ზეელერი კი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

1963 წელს დასავლეთ გერმანიაში შეიქმნა გათამაშების უმაღლესი ლიგა ანუ ბუნდესლიგა. 1963-64 წლების გათამაშებაში „ჰამბურგი“ VI ადგილზე გავიდა, უ. ზეელერმა 30 ბურთი გაიტანა და მეორედ იქნა აღიარებული ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად. ამის შემდეგ ჰამბურგელები ერთხანს სუსტად გამოდიოდნენ, საუკეთესო შედეგი სეზონში მეორე ადგილი იყო 1974-75 წლებში. 1977 წელს გუნდმა შეიძინა სახელგანთქმული ფეხბურთელი, ლივერპულელი კევინ კიგანი. 1977-78 წლების პირველობაზე „ჰამბურგმა“ X ადგილი დაიკავა, ხოლო კიგანმა მხოლოდ 6 ბურთი გაიტანა, ამასთან 1977 წელს სუპერ-თასზე „ჰამბურგი“ (თასების მფლობელთა თასის მაშინდელი გამარჯვებული) კიგანის ყოფილმა კლუბმა „ლივერპულმა“ შინ პირდაპირ გაანადგურა — 6:0 (პირველი შეხვედრა — 1:1).

1978-79 წლების სეზონის დასაწყისში „ჰამბურგი“ დასავლეთ გერმანიის თასის გათამაშების პირველსავე მატჩში დამარცხდა და სპეციალისტებმა გუნდი ჩემპიონობის უბრალო კანდიდატებშიც კი არ დაასახელეს, მაგრამ მალე „ჰამბურგის“ მენაჯერმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა გ. ნეტცერმა და სახელგანთქმულმა იუგოსლაველმა მწვრთნელმა ბ. ზებეცმა შეძლეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონის წოდების მოპოვება. „ჰამბურგმა“ 34 თამაშში 21 მოიგო, ფრედ დაამთავრა 7, წააგო 6, გაიტანა ყველაზე მეტი — 78 და გაუშვა ყველაზე ნაკლები — 32 ბურთი. ასეთი წარმატება უპირველეს ყოვლისა კიგანის საოცარმა თამაშმა განაპირობა. იგი არა მარტო საუკეთესო ბომბარდირი გახდა (შარშანდელ სეზონში 16 ბურთი გაიტანა), არამედ „ჰამბურგის“ ყველა შეტევის წამომწყები და ორგანიზატორიცაა. შარშან კიგანი, როგორც ცნობილია, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

დასავლეთ გერმანიის თასის გათამაშებაში „ჰამბურგმა“ გაიმარჯვა 1963 და 1976 წლებში, ხოლო 1956 და 1957 წლებში ფინალში გავიდა.

კონტინენტალურ საკლუბო ტურნირებში „ჰამბურგმა“ პირველად მიიღო მონაწილეობა 1960-61 წლების გათამაშებაში ჩემპიონთა თასზე და ნახევარფინალამდე მიაღწია. იგი მხოლოდ დამატებით, მესამე შეხვედრაში დამარცხდა ესპანეთის „ბარსელონასთან“ — 0:1.

1963-64 წლებში თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში „ჰამბურგმა“ წააგო საფრანგეთის „ლიონთან“ — 1:1, 0:2.

1967-68 წლებში „ჰამბურგი“ გავიდა თასების მფლობელთა თასის ფინალში. გადამწყვეტ შეხვედრაში ჰამბურგელები დამარცხდნენ იტალიის „მილანთან“ — 0:2.

1968-69 წლებში ბაზრობათა თასის გათამაშებაში „ჰამბურგმა“ მეოთხედფინალს მიაღწია, სადაც ყველასათვის მოულოდნელად უარი განაცხადა თურქეთის „გიოზთეპესთან“ თამაშზე.

1970-71 წლების ბაზრობათა თასის მეთექვსმეტედფინალში „ჰამბურგი“ ზაგრების „დინამომ“ გამოთიშა — 1:0, 0:4, ხოლო 1971-72 წლების უეფა-ს თასის გათამაშების ოცდამეთორმეტედფინალში წააგო შოტლანდიის „სენტ-ჯონსონთან“ — 2:1, 0:3.

1974-75 წლებში უეფა-ს გათამაშებაში „ჰამბურგი“ მეოთხედფინალში დამარცხდა იტალიის „იუვენტუსთან“ (0:0, 0:2), მომდევნო წელს კი ამავე ტურნირის ნახევარფინალში — ბელგიის „ბრიუგესთან“ — 1:1, 0:1.

საკლუბო ტურნირებში ხშირმა გამოსვლამ დიდი გამოცდილება მოუტანა „ჰამბურგს“ და 1976-1977 წლების თასების მფლობელთა თასის ფინალში დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს ამ პრიზის მაშინდელი მფლობელი ბელგიის „ანდერლეხტი“ — 2:0. აი, ვინ თამაშობდა გამარჯვებულთა გუნდში: კარგუსი, კალტცი, ნოგლი, ჰიდაინი, რიპი, ნემერინგი, კელერი, მაგატი, სტეფენჰაგენი, რაიმანი და ფოლკერტი. გუნდს წვრთნიდა პ. კრონი. „ანდერლეხტმა“ მომავალ წელს მაინც იძია შური „ჰამბურგზე“, როდესაც ამავე ტურნირის მერვედფინალში დაამარცხა იგი — 2:1, 1:1.

შარშან „ჰამბურგი“ არ მონაწილეობდა ევროპის საკლუბო ტურნირებში, წელს კი, როგორც ჩემპიონი, მეორედ მონაწილეობს ევროპის ჩემპიონთა თასზე. მეთექვსმეტედფინალში გუნდმა დაამარცხა ისლანდიის ჩემპიონი „ვალიური“ — 2:1, 3:0.

„ჰამბურგის“ ახლანდელი შემადგენლობა საკმაოდ ძლიერია. გუნდს წვრთნის იუგოსლაველი სპეციალისტი ბრანკო ზებეცი. მას საკმაო გამოცდილება აქვს ბუნდესლიგაში მწვრთნელობისა (ავარჯიშებდა აახენის „ალემანიას“, მიუნხენის „ბაიერნს“, „შტუტგარტს“, ბრაუნშვაიგის „ეინტრახტს“). კარს იცავს ქვეყნის ნაკრების მეკარე კარგუსი, რომელმაც შარშანდელ პირველობაზე ყველაზე ნაკლები — 32 ბურთი გაუშვა. დაცვაში გამოირჩევიან ეროვნული ნაკრების წევრი, გამოცდილი კალტცი, ცნობილი იუგოსლაველი ფეხბურთელი ბულიანი და ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშე ჰარტვიგი. ძლიერია გუნდის ნახევარდაცვაც, სადაც ნაკრების კანდიდატთან ნემერინგთან ერთად თამაშობენ გამოცდილი მაგატი და ახალგაზრდა პლუკენი. მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელი სეზონის დასაწყისში „ჰამბურგს“ გამოაკლდა ცნობილი თავდამსხმელი ფოლკერტი, იგი წარმატებით შეცვალა ჰრუბეშმა, რომელმაც ისლანდიელებთან პირველ შეხვედრაში (3:0) ორი ბურთი გაიტანა.

„ჰამბურგს“ აქვს 25-ათასიანი სტადიონი „როტენბაუმი“, მაგრამ უმეტესად ქალაქის 90-ათასიან „ფოლკპარკშტადიონზე“ გამოდის.

ო. ხუბუტია.

● ფეხბურთი ● ევროპული ტურნირები ●

კონტინენტთა თასებზე

გაიმართა უეფა-ს თასის II ტურის ოცდამეთორმეტედფინალის 2 საპასუხო შეხვედრა.

საბერძნეთის „ოლიმპიაკოსმა“ შინ ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ნაპოლი“, მაგრამ ვინაიდან პირველი მატჩი მოგებული ჰქონდათ იტალიელ ფეხბურთელებს (2:0), ისინი გავიდნენ მეთექვსმეტედფინალში.

ბუქარესტის „დინამომ“ გასვლაზე დიდი ანგარიშით დაამარცხა კიპროსის „ალკი“ — 9:0. რუმინელებს პირველი შეხვედრაც მოგებული ჰქონდათ (3:0), ისინი გააგრძელებენ ბრძოლას თასისთვის.

ლისაბონის „ბოავისტამ“ თასების მფლობელთა თასზე მიიღო მალტის „შლიემა უონდერერსი“ და გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 8:0. „ბოავისტას“ პირველ ტურში მალტელებთან წაგებული ჰქონდა ანგარიშით 1:2, მაგრამ გაიმარჯვა 2 მატჩის ჯამში.

წილისყრის შედეგად

უეფა-ს შტაბ-ბინაზე ციურიხში 5 ოქტომბერს შედგა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების 1979-80 წლების გათამაშების II წრის წილისყრა. მისი შედეგები ასეთია:

ჩემპიონთა თასი

მერვედფინალი

„ჰამბურგი“ (გფრ) — „დინამო“ (თბილისი)

„ვეილე“ (დანია) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია)

„ნოტინგემ ფორესტი“ (ინგლისი) — „არჯესი“ (რუმინეთი)

„პორტო“ (პორტუგალია) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი)

„აიაქსი“ (ჰოლანდია) — „ომონია“ (კიპროსი)

„სელტიკი“ (შოტლანდია) — „დანდალკი“ (ირლანდია)

„დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „სტრასბურგი“ (საფრანგეთი)

„დინამო“ (ბერლინი, გდრ) — „სერვეტი“ (შვეიცარია).

თასების თასი

მერვედფინალი

„დინამო“ (მოსკოვი) — „ბოავისტა“ (პორტუგალია)

„პანიონისი“ (საბერძნეთი) — „გეტებორგი“ (შვეცია)

„ბეროე“ (ბულგარეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია)

„არისი“ (ლუქსემბურგი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი)

„ლოკომოტივი“ (კოშიცე, ჩეხოსლოვაკია) — „რიეკა“ (იუგოსლავია)

„ვალენსია“ (ესპანეთი) — „გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია)

„არსენალი“ (ინგლისი) — „მაგდებურგი“ (გდრ)

„ნანტი“ (საფრანგეთი) — „სტიაუა“ (რუმინეთი).

უეფა-ს თასი

მეთექვსმეტედფინალი

„ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) — „დინამო“ (კიევი)

„უნივერსიტატია“ (რუმინეთი) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი)

„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი)

„სპორტინგი“ (პორტუგალია) — „კაიზერსლაუტერნი“ (გფრ)

„ლოკომოტივი“ (სოფია, ბულგარეთი) — „მონაკო“ (საფრანგეთი)

„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „კარლ ცაისი“ (იენა, გდრ)

„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი, გფრ)

„დინამო“ (დრეზდენი, გდრ) — „შტუტგარტი“ (გფრ)

„არისი“ (სალონიკი, საბერძნეთი) — „პერუჯა“ (იტალია)

„ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ) — „ინტერნაციონალე“ (იტალია)

„დანდი“ (შოტლანდია) — „დიოშდიერი“ (უნგრეთი)

„ორჰუსი“ (დანია) — „ბაიერნი“ (გფრ)

„სტანდარდი“ (ბელგია) — „ნაპოლი“ (იტალია)

„ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — „მალმე“ (შვეცია)

„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „იფსვიჩ თაუნი“ (ინგლისი)

„ზბროიოვკა“ (ჩეხოსლოვაკია) — „კეფლავიკი“ (ისლანდია)

შენიშვნა: წილისყრაში პირველად დასახელებული გუნდები I ტურში მეტოქეებს შინ მიიღებენ 24 ოქტომბერს. განმეორებითი მატჩები გაიმართება 7 ნოემბერს.

საიუბილეოდ — 30 საუკეთესო

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 30 წლისთავის აღსანიშნავად ამ ქვეყნის გაზეთების „იუნგე ველტისა“ და „დოიჩეს შპორტეხოს“ რედაქციებმა გდრ-ის ყველა დროის 30 სპორტსმენის ვინაობის დასადგენად მოაწყეს გამოკითხვა, რომელშიც თავისუფალი გერმანიის ახალგაზრდობის კავშირის წევრები, სპორტული მუშაკები, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები, ხელოვნებისა და მეცნიერების მოღვაწენი, ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. რედაქციებს თავიანთი მოსაზრებანი გაუგზავნა ათასზე მეტმა კაცმა.

სულ დაასახელეს 300-ზე მეტი სპორტსმენი, რომლებმაც სხვადასხვა დროს დიდ შეჯიბრებებში გამოიჩინეს თავი. როცა გამოკითხვის შედეგები შეაჯამეს, გაირკვა, რომ ყველაზე პოპულარული სპორტსმენი ყოფილა ველოსპორტში ორგზის მსოფლიო ჩემპიონი და მშვიდობის ველორბოლაში ორგზის გამარჯვებული **გ.-ა. შური**. მას 18858 ქულა დაუგროვდა. მეორე ადგილზე გავიდა ცურვაში 4 ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი, მსოფლიოს სამგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი **რ. მათესი** — 18160, ხოლო მესამეზე — ცურვაში ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს რვაგზისა და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი **კ. მათეს-ენდერი** — 16251.

გამოკითხვის ორგანიზატორებმა რესპუბლიკის ყველა დროის 30 საუკეთესო სპორტსმენი ქულების უპირატესი ჯამის მიხედვით დაადგინეს. ამ სიაში შევიდნენ, აგრეთვე, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატების ოთხი ოქროს მედლის მფლობელი სპრინტერი ქალი **რ. შტეხერი**, ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონი თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში **ჰ. რეკნაგელი**, ოლიმპიადის ჩემპიონი და კონტინენტის პირველობის სამგზის ოქროს მედალოსანი ჭოკით ხტომაში **ვ. ნორდვიგი**, სიმაღლეზე მხტომელი ქალი **რ. აკერმანი**, რომელმაც თავის დროზე ოლიმპიადისა და ევროპის ჩემპიონის ტიტულები მოიგო.

გამოკითხვის შედეგად ამ სიაში შევიდნენ, აგრეთვე, ორჭიდელი **უ. ველინგი**, სპორტული ტანმოვარჯიშე **კ. იანცი**, უმესაჭო ოთხადგილიანი ნავის ეკიპაჟი (**ფ. ფორდერგერი, ფ. რიულე, დ. გრანი, დ. შუბერტი**), რომელმაც ოლიმპიადის, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ორ-ორი ოქროს მედალი მიიღო, წყალში მხტომელი **ი. კრემერი**, მოთხილამურე **გ. გრიმერი**, შუბის მტყორცნელი ქალი **რ. ფუქსი**, ფიგურული მოციგურავე **გ. ზაიფერტი**, მოკრივე **ვ. ბერენდტი**, მოციგავე **მ. შუმანი**, თარჯმორბენალი **კ. ბალცერი**, მოციგურავე **ჰ. ჰააზე**, მოციგავე **თ. კიოლერი**, ნიჩბოსანი ქალი **კ. ჰან-შაიბლიხი**, ველოსიპედისტი **ი. გიოშკე**, **ქალთა ეროვნული ნაკრები**, რომელმაც სამჯერ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა და სხვები.

რედაქტორი ა. ბასილაია.

ს უ ლ — ს ა მ ჯ ე რ

თბილისის დინამოელებს მრავალი ქვეყნის ფეხბურთელებთან აქვთ ნათამაშევი საერთაშორისო მატჩები, მეტოქეთა შორის ვხვდებით სხვადასხვა რანგის კლუბებს, მაგრამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებთან „დინამოს“ დღემდე არა ჰქონია ფართო მასშტაბის ურთიერთობანი არც ამხანაგურ, არც ოფიციალურ დონეზე.

გფრ-ის რომელიმე კლუბი ჯერ არ ყოფილა თბილისში, ჩვენმა ფეხბურთელებმა კი ერთხელ ჩაატარეს ტურნე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ეს იყო 1962 წელს. მაშინ „დინამომ“ 8 აგვისტოს ქ. ნოინკირხენში ფრედ ითამაშა „ბორუსიასთან“ — 1:1, 3 დღის შემდეგ ჰანოვერში კვლავ ფრედ დაამთავრა მატჩი „ჰანოვერ-96“-თან — 2:2 და 11 აგვისტოს კარლსრუეში ისევ „მშვიდობიანად“ ეთამაშა „კარლსრუეს“ — 1:1.

თბილისის
ვ. ი. ლენინის
სახელობის
„დინამოს“ სტადიონი

(აკ. წერეთლის გამზ. № 2)

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) —
„არარატი“ (ერევანი)

10 ოქტომბერი —
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს.

ბილეთები გაიყიდება ორგანიზაციებზე 8 და 9 ოქტომბერს 10 საათიდან. საერთო გაყიდვა — 10 ოქტომბერს 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის № 1-დან № 16 სალაროების ჩათვლით.

სათადარიგო შემადგენლობების მატჩი გაიმართება 9 ოქტომბერს „ლოკომოტივის“ სტადიონზე. დასაწყისი 18 ს.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17,
უე 03458